www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის შედეგები

2017

06.12.2018

www.geostat.ge

06.12.2018

აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევა

2017 წელი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2018 წელს პირველად ჩაატარა ქვეყანაში არსებული აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 700-მდე აკვაკულტურის მეურნეობა. გამოკვლევას ექვემდებარებოდნენ შინამეურნეობები და იურიდიული პირები, რომელთაც 2017 წლის განმავლობაში სარგებლობაში ჰქონდათ აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევი და შესაბამისად, ეწეოდნენ აკვაკულტურის საქმიანობას. გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა აკვაკულტურის დარგის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები, როგორიცაა წყალსატევებში არსებული და წარმოებული თევზის მოცულობა, რეალიზებული თევზის საშუალო ფასები, აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ფართობი და მისი სტრუქტურა.

გამოკვლევის შედეგად 2017 წლის ბოლოსათვის აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ფართობი 4 309.0 ჰექტარით განისაზღვრა, საიდანაც ტბორების ფართობმა 2 224.6 ჰექტარი, აუზების ფართობმა - 27.6 ჰექტარი, ხოლო წყალსაცავების და ბუნებრივი წყალსატევების (ტბა ან ტბის ნაწილი, მდინარის ნაწილი, ზღვის ნაწილი) ფართობმა - 2 056.8 ჰექტარი შეადგინა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტბორების ყველაზე დიდი ნაწილი კახეთში მდებარეობდა და საერთო ფართობი 1 473.5 ჰექტარი იყო. ტბორების ფართობმა სამეგრელო-ზემო სვანეთში 476.2 ჰექტარი, იმერეთში 103.5 ჰექტარი, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ჯამურად 171.5 ჰექტარი შეადგინა.

2017 წლის ბოლო მდგომარეობით აუზების ყველაზე დიდი ნაწილი შიდა ქართლშია განთავსებული, საერთო ფართობით - 18.2 ჰექტარი. სამცხე-ჯავახეთში არსებული აუზების ფართობი შეადგენს 3.5 ჰექტარს, აჭარაში - 1.8 ჰექტარს, გურიაში - 1.7 ჰექტარს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში არსებული აუზების მთლიანი ფართობი 2.4 ჰექტარს არ აღემატება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ფართობის სტრუქტურა წყალსატევის ტიპების მიხედვით, 2017 წლის ბოლოსათვის:

აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ფართობის სტრუქტურა
წყალსატევის ტიპის მიხედვით,
2017 წლის ბოლო მდგომარეობით (%)



2017 წელს აკვაკულტურის მეურნეობებში წარმოებულია 2 041.7 ტონა თევზი, საიდანაც 57.0 პროცენტი მიეკუთვნება ორაგულისებრთა ოჯახს, 38.5 პროცენტი კობრისებრთა, ხოლო 3.7 პროცენტი ზუთხისებრთა ოჯახის სახით არის წარმოდგენილი.

ორაგულისებრთა წარმოებაში უდიდესი წილით (98.3 პროცენტი) ცისარტყელა კალმახი არის წარმოდგენილი. რაც შეეხება კობრისებრთა ოჯახს, 42.7 პროცენტი მოდის თეთრი და ჭრელი სქელშუბლას წარმოებაზე.

2017 წელს წარმოებული თევზის მიხედვით ლიდერობს კახეთის რეგიონი, რომელზეც მოდის საქართველოში წარმოებული თევზის 35.1 პროცენტი. სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს შიდა ქართლი 26.6 პროცენტით, მესამე ადგილზეა გურიის რეგიონი - 14.3 პროცენტით, ხოლო დანარჩენ რეგიონებზე ჯამურად ქვეყანაში წარმოებული თევზის 24.0 პროცენტი მოდის.

თევზის წარმოების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით, 2017 წელი (%)



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წარმოებული თევზის სტრუქტურა თევზის ოჯახების მიხედვით:

თევზის წარმოების სტრუქტურა თევზის ოჯახების მიხედვით,
2017 წელი (%)



2017 წლის ბოლოსათვის აკვაკულტურისათვის განკუთვნილ წყალსატევებში არსებული თევზის საერთო მოცულობა 2 067.6 ტონით განისაზღვრა, საიდანაც 37.8 პროცენტი მიეკუთვნება ორაგულისებრთა ოჯახს, 51.5 პროცენტი კობრისებრთა, ხოლო 9.7 პროცენტი ზუთხისებრთა ოჯახს. აღსანიშნავია ისიც, რომ წყალსატევებში არსებულ ორაგულისებრთა მოცულობაში უდიდესი წილი მოდის ცისარტყელა კალმახზე (96.8 პროცენტი).

წყალსატევებში არსებული თევზის მოცულობის სტრუქტურა
თევზის ოჯახების მიხედვით,
2017 წლის ბოლო მდგომარეობით (%)



2017 წელს საქართველოში 1 კილოგრამი ცისარტყელა კალმახის საშუალო წლიური ფასი 8.6 ლარით განისაზღვრა. კობრისა და სარკისებრი კობრის საშულო ფასი შედარებით დაბალია და 7.2 ლარს შეადგენს. რაც შეეხება თეთრი ამურის საშუალო ფასს, 5.7 ლარის ფარგლებშია, ხოლო თეთრი და ჭრელი სქელშუბლის საშუალო ფასი 3.3 ლარს არ აღემატება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია თევზის საშუალო ფასები თევზის სახეობების მიხედვით:

თევზის საშუალო ფასი თევზის სახეობის მიხედვით,
2017 წელი (ლარი)



საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge